განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ბიზნესის ადმინისტრირება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 28.05.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 04.07.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**229275405**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირება**
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე,ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" ახალი პროგრამაა. აღნიშნული პროგრამის შემუშავებამდე, უნივერსიტეტში მოქმედებდა და მოქმედებს საბაკალავრო პროგრამები (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ტურიზმი), რომელთა საფუძველზეც შემუშავდა წარმოდგენილი ახალი პროგრამა. შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაცია არის მიმართულების მიხედვით ფორმირებული ზოგადი კვალიფიკაცია (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)), რომელშიც არ არის ასახული კვალიფიკაცია სპეციალობების მიხედვით, პროგრამაში წარმოდგენილი კონცენტრაციების მიუხედავად.

ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან ერთად შესაფასებლად წარმოდგენილ იქნა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობის პროგრამა.

შესაფასებლად წარმოდგენილი ახალი პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ის საჭიროებები, რომლებიც მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პირებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო სავალდებულო საგნებზე მოდის – 75 ECTS კრედიტი, ცალკეული კონცენტრაციის სავალდებულო საგნებზე – 42 ECTS კრედიტი, კონცენტრაციის არჩევითი საგნებზე – 23, დამატებით სპეციალობასა და თავისუფალ კრედიტებზე – ECTS 65 კრედიტი, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც არჩევით კომპონენტად არის წარმოდგენილი ეთმობა 10 – 10 ECTS, აკადემიური წერას - 5, საინფორმაციო ტექნოლოგიებს - 5, ხოლო უცხო ენას - 15 ECTS კრედიტი.

ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობის პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, საიდანაც 50 სავალდებულო სასწავლო კურსია 10 კრედიტი კი - არჩევითი.

აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული ერთი ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 28-29 მაისს. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა. მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, შემთხვევითი შერჩევის გზით გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის და კვლევითი აქტივობების ამსახველი მასალები.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა მიერ გამოთხოვილი იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომელიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოგვაწოდა შეფერხების გარეშე.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს და პროგრამის ხელმძღვანელებს გააცნეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ძირითადი მიგნებები.

აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და მეტწილად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ნაწილობრივ ლოგიკური და თანმიმდევრულია. სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას აქვს სავარაუდო ბიუჯეტი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. შიდა და გარე შეფასება მეტწილად გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის ზოგადი კომპეტენციების უზრუნველსაყოფად საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტს შეეცვალოს არჩევითი სტატუსი და გახდეს სავალდებულო კომპონენტები.

  - გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სავალდებულო საბაზო საგნებში გათვალისწინებულ იქნას ბიზნესის ფუნქციონალური სფეროები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგად დარგობრივ კომპეტენციებს უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით, 120 ECTS კრედიტის ფარგლებში.

  - საბაზო კურსებიდან ამოღებული იქნას სასწავლო კურსი ,,ტურიზმის საფუძვლები", მათ შორის დამატებითი სპეციალობის პროგრამაში.

  - მიზანშეწონილია, მინიმუმამდე შემცირდეს თემატური პარალელიზმი შემდეგ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა: ,,საზოგადოებასთან ურთიერთობები" და ,,ბიზნესის ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა"; ,,კარიერის მართვა" და ,,ადამიანური რესურსების მართვა"; ,,კორპორაციული კომუნიკაციები", ,,ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება" და ,,ორგანიზაციული ქცევა"; ,,ფული და საბანკო საქმე" და ,,საბანკო საქმის საფუძვლები"; ,,მენეჯერული ფინანსები 1" და ,,ფინანსური აღრიცხვა".

  - შეეცვალოს სახელწოდება სასწავლო კურსებს ,,მიკროეკონომიკა" და მაკროეკონომიკა".

  - გადამუშავდეს სასწავლო კურსი ,,მონაცემების ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით" ექსელისა და აქსესის(მონაცემთა ბაზების) გაძლიერების კუთხით, ხოლო მოდელირების საკითხი გადავიდე მაგისტრატურის საფეხურზე.

  - შემცირდეს პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებზე: ,,ონლაინ მარკეტინგი" (5 კრედიტი), ,,პირდაპირი მარკეტინგი" (5 კრედიტი), ,,რეკლამა და სოციალური მარკეტინგი" (5 კრედიტი), ,,ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში" (4 კრედიტი), ,,სცენარის შექმნა რეკლამისთვის (5 კრედიტი), ,,ბიზნეს კონტაქტების შედგენა" (5 კრედიტი) და ა.შ. წარმოდგენილი დატვირთვა თემატიკიდან გამომდინარე.

  - გადამუშავდეს სასწავლო კურსების ,,მათემატიკა 1" და ,,მათემატიკა 2" სწავლის შედეგების ფორმულირებები სწავლების თემატიკიდან გამომდინარე ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში.

  - მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიცვალოს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სპეციალობის განმსაზღვრელ სასწავლო კურსების ჩამონათვალი და კრედიტების მოცულობა 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად, ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 120 კრედიტისა და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირების სახით.

  - პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს ის სასწავლო კომპონენტები, თემები და სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული, სტრესული სიტუაციების მართვის, დროის მენეჯმენტის, წერითი კომუნიკაციების უნარების გამომუშავებას.

- დაინტერესებული მხარეების ინტერესების/რჩევების მაქსიმალურად გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და პროგრამის მუდმივი გაუმჯობესება.

- განისაზღვროს და სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში აისახოს შემდეგი სასწავლო კურსების წინაპირობები: „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „მენეჯერული აღრიცხვა I“, „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“, „ფინანსური ინსტიტუტები“, მეწარმეობა, „ორგანიზაციული ქცევა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „მცირე და საშუალო საწარმოების მართვა“, „მომსახურების მარკეტინგი“, „გაყიდვების მართვა“, „რისკების მართვის საფუძვლები“, „ლოჯისტიკა“, ,,ევროინტეგრაცია და ფინანსური ბაზრის რეფორმები“, „ბიზნეს-კონტრაქტების შედგენა“.

- დაკონკრეტდეს პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის.

- დასაზუსტებელია წინაპირობები სასწავლო კურსებში: „ინვესტიციების და პორტფელის მართვა“ (წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ ბიზნეს სტატისტიკა), „ორისი (საბუღალტრო პროგრამის გამოყენება)“ (წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები).

- „ბიზნეს ინგლისურის“ სწავლება ნაცვლად მეორე სემესტრისა განხორციელდეს მეოთხე სემესტრიდან, ვინაიდან ზოგადი ინგლისურის სასწავლო კურსი გრძელდება მესამე სემესტრის ჩათვლით.

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ძირითადი აკადემიური აფილირებული პერსონალის მოზიდვა ფაკულტეტზე.

- განახლებას მოითხოვს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში "საერთაშორისო ფინანსები" - 2007, "მენეჯერული ფინანსები" - 2010, "ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ - 2004 და სხვ.).

- შემცირდეს სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ფინანსები“ და ,,ბიზნესის სამართლებრივი გარემო“.

- სასწავლო კურსში ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია,საბაკალავრო პროგრამაზე მიღებისას უფრო მეტი აქცენტი (მაგ., გამოცხადდეს მეტი რაოდენობა) გაკეთდეს მათემატიკაზე.

- პროგრამის წინაპირობების კიდევ უფრო მეტად გამჭვირვალობისა და საჯაროობისათვის საბაკალავრო პროგრამის წინაპირობების ჩამონათვალს დაემატოს შიდა ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობა და IBSU-ს ვებ-გვერდზე მრავალფეროვანი სასწავლო საშეღავათო პირობების გვერდის ბოლოს მიეთითოს შეღავათების შეზღუდვები.
- სასურველია, დაიგეგმოს ორი ელექტრონული სისტემის: SIS (სტუდენტის პირადი ანგარიში, სტუდენტების შეფასება და სხვ.) და Smart (რომელ სასწავლო კურსზე არის დარეგისტრირებული სტუდენტი ან ლექტორი და სხვ.) გაერთიანება, რაც შექმნის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულ გარემოს.
- სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ლექტორებს იმ სასწავლო კურსების „სალექციო კურსის“ შემუშავებაში, რომელთა ძირითად ლიტერატურაში მოცემულია „ლექტორის კონსპექტი“.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შზსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, და არასამთავრობო სექტორებში; პროგრამის მიზანია აგრეთვე სტუდენტებისათვის ბიზნესის და მისი მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება პროგრამის მიზნის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან. ამასთან, პროგრამის მომზადებამდე ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა

გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, შემუშავდა შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა. პროგრამაში შემოტანილი იქნა საბაკალავრო ნაშრომის არჩევითი კომპონენტი, მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, გარკვეული სასწავლო კურსების დამატება და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან; ○ შრომის ბაზრის კვლევა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" ახალი პროგრამაა. აღნიშნული პროგრამის შემუშავებამდე, უნივერსიტეტში მოქმედებდა და მოქმედებს საბაკალავრო პროგრამები (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ტურიზმი), რომელთა საფუძველზეც შემუშავდა წარმოდგენილი ახალი პროგრამა. შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაცია არის მიმართულების მიხედვით ფორმირებული ზოგადი კვალიფიკაცია (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)), რომელშიც არ არის ასახული კვალიფიკაცია სპეციალობების მიხედვით, პროგრამაში წარმოდგენილი კონცენტრაციების მიუხედავად. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც ბიზნესის

ადმინისტრირების საბაზო სავალდებულო საგნებზე მოდის – 75 ECTS კრედიტი, ცალკეული კონცენტრაციის სავალდებული საგნებზე – 42 ECTS კრედიტი, კონცენტრაციის არჩევითი საგნებზე – 23, დამატებით სპეციალობასა და თავისუფალ კრედიტებზე – ECTS 65 კრედიტი პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც არჩევით კომპონენტად არის წარმოდგენილი ეთმობა 10 – 10 ECTS, აკადემიური წერას - 5, საინფორმაციო ტექნოლოგიებს - 5, უცხო ენას - 15 ECTS კრედიტი.

ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან ერთად შესაფასებლად წარმოდგენილ იქნა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობის პროგრამა. ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობის პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, საიდანაც 50 სავალდებულო სასწავლო კურსია 10 კრედიტი კი - არჩევითი.

აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული ერთი ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს.

პროგრამის შედეგების ნაწილში ვკითხულობთ, რომ სტუდენტს შეუძლია ,,საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ...“, ,,დამამთავრებელ სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა.... შესაძლებელია პრაქტიკის შეცვლა საბაკალავრო ნაშრომით“. ასევე, კვლევითი უნარების გამომუშავება წარმოდგენილია დასკვნის უნარის შედეგებში, თუმცა საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი პროგრამაში არჩევითია და პროგრამის ზოგად შედეგებს სრულად ვერ უზრუნველყოფს. პროგრამის ზოგადი კომპეტენციების უზრუნველსაყოფად საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი სავალდებულო კომპონენტების სტატუსით უნდა სარგებლობდეს.

ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მატარებელს უნდა გააჩნდეს ფართო ცოდნა ორგანიზაციის, მისი რესურსების მართვის საკითხებზე. დარგობრივი კომპეტენციის განვითარება უნდა განხორციელდეს სავალდებულო საბაზო სასწავლო კურსებზე დაყრდნობით, თუმცა საბაზო სავალდებულო კურსებში არ არის წარმოდგენილი ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: ოპერაციული მენეჯმენტი, ლოჯისტიკა, კადრების მართვა, მართვის საინფორმაციო სისტემები. ჩამოთვლილი სასწავლო კურსები გვხვდება კონცენტრაციებში, რომელთა მიზანიც სპეციალიზებული დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაა. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ჩამოთვლილი კურსები წარმოდგენილია მენეჯმენტის კონცენტრაციაში, თუმცა მათი ათვისება შეუძლებელია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სხვა კონცენტრაციას ირჩევენ.

კვალიფიკაციის შედეგებზე გასვლას ართულებს ის მოცემულობა, თუ სტუდენტი აირჩევს ტურიზმის მენეჯმენტის კონცენტრაციას, რადგან აქ წარმოდგენილი კურსები ვერ უზრუნველყოფენ ზოგადდარგობრივ კომპეტენციებს ბიზნესის ადმინისტრირებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სავალდებულო საბაზო საგნებში გათვალისწინებულ იქნას ბიზნესის ფუნქციონალური სფეროები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგად დარგობრივ კომპეტენციებს უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით, 120 ECTS კრედიტის ფარგლებში. ამასთან, საბაზო კურსებიდან ამოღებული უნდა იქნას სასწავლო კურსი ,,ტურიზმის საფუძვლები“, მათ შორის დამატებითი სპეციალობის პროგრამაში, რომელიც არ ემსახურება ზემოთწარმოდგენილ მიზანს.

პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ შესაძლებელია შემცირდეს პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებზე: ,,ონლაინ მარკეტინგი“ (5 კრედიტი), ,,პირდაპირი მარკეტინგი“ (5 კრედიტი), ,,რეკლამა და სოციალური მარკეტინგი“ (5 კრედიტი), ,,ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში“ (4 კრედიტი), ,,სცენარის შექმნა რეკლამისთვის (5 კრედიტი), ,,ბიზნეს კონტაქტების შედგენა“ (5 კრედიტი) და ა.შ. წარმოდგენილი დატვირთვა თემატიკიდან გამომდინარე.

ამასთან, გარკვეული თემატური გადაფარვები არსებობს სასწავლო კურსებში, როგორებიცაა:

,,საზოგადოებასთან ურთიერთობები“ და ,,ბიზნესის ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“; ,,კარიერის მართვა“ და ,,ადამიანური რესურსების მართვა“; ,,კორპორაციული კომუნიკაციები“, ,,ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება“ და ,,ორგანიზაციული ქცევა“; ,,ფული და საბანკო საქმე“ და ,,საბანკო საქმის საფუძვლები“; ,,მენეჯერული ფინანსები 1“ და ,,ფინანსური აღრიცხვა“. მიზანშეწონილია, მინიმუმამდე შემცირდეს თემატური პარალელიზმი.

სასწავლო კურსებს ,,მათემატიკა 1“ და ,,მათემატიკა 2“ სწავლის შედეგები ერთნაირად არის ფორმულირებული, რაც საჭიროებს გამიჯვნას სწავლების თემატიკიდან გამომდინარე ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში.

სასწავლო კურსებს ,,მიკროეკონომიკა“ და ,,მაკროეკონომიკა“ უნდა შეეცვალოს სახელწოდება, რადგან სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკების და სავალდებულო ლიტერატურის მიხედვით ისინი განიხილება როგორც ,,მიკროეკონომიკის პრინციპები“ და ,,მაკროეკონომიკის პრინციპები“.

გადამუშავდეს სასწავლო კურსი ,,მონაცემების ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით“ ექსელისა და აქსესის(მონაცემთა ბაზების) გაძლიერების კუთხით, ხოლო მოდელირების საკითხი გადავიდე მაგისტრატურის საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის ზოგადი კომპეტენციების უზრუნველსაყოფად საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტს შეეცვალოს არჩევითი სტატუსი და გახდეს სავალდებულო კომპონენტები.
- გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სავალდებულო საბაზო საგნებში გათვალისწინებულ იქნას ბიზნესის ფუნქციონალური სფეროები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგად დარგობრივ კომპეტენციებს უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით, 120 ECTS კრედიტის ფარგლებში.
- საბაზო კურსებიდან ამოღებული იქნას სასწავლო კურსი ,,ტურიზმის საფუძვლები“, მათ შორის დამატებითი სპეციალობის პროგრამაში.
- მიზანშეწონილია, მინიმუმამდე შემცირდეს თემატური პარალელიზმი შემდეგ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა: ,,საზოგადოებასთან ურთიერთობები“ და ,,ბიზნესის ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“; ,,კარიერის მართვა“ და ,,ადამიანური რესურსების მართვა“; ,,კორპორაციული კომუნიკაციები“, ,,ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება“ და ,,ორგანიზაციული ქცევა“; ,,ფული და საბანკო საქმე“ და ,,საბანკო საქმის საფუძვლები“; ,,მენეჯერული ფინანსები 1“ და ,,ფინანსური აღრიცხვა“.
- შეეცვალოს სახელწოდება სასწავლო კურსებს ,,მიკროეკონომიკა“ და მაკროეკონომიკა“.
- გადამუშავდეს სასწავლო კურსი ,,მონაცემების ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით“ ექსელისა და აქსესის(მონაცემთა ბაზების) გაძლიერების კუთხით, ხოლო მოდელირების საკითხი გადავიდე მაგისტრატურის საფეხურზე.
- შემცირდეს პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებზე: ,,ონლაინ მარკეტინგი“ (5 კრედიტი), ,,პირდაპირი მარკეტინგი“ (5 კრედიტი), ,,რეკლამა და სოციალური მარკეტინგი“ (5 კრედიტი), ,,ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში“ (4 კრედიტი), ,,სცენარის

შექმნა რეკლამისთვის (5 კრედიტი), ,,ბიზნეს კონტაქტების შედგენა“ (5 კრედიტი) და ა.შ. წარმოდგენილი დატვირთვა თემატიკიდან გამომდინარე. ○ გადამუშავდეს სასწავლო კურსების ,,მათემატიკა 1“ და ,,მათემატიკა 2“ სწავლის შედეგების ფორმულირებები სწავლების თემატიკიდან გამომდინარე ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. შეფასებული სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიმართულების, სპეციალობის და სპეციალიზაციების ჩამონათვალში ბიზნესის ადმინისტრირება წარმოდგენილია მიმართულების სახით (კვალიფიკაციის კოდი 02). უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მუხლი. 4 პუნქტი 2-ის მიხედვით პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვალიფიკაციის სახელწოდების ფორმულირება შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მატარებელს უნდა გააჩნდეს ფართო ცოდნა ორგანიზაციის, მისი რესურსების მართვის საკითხებზე. დარგობრივი კომპეტენციის განვითარება უნდა განხორციელდეს სავალდებულო საბაზო სასწავლო კურსებზე დაყრდნობით, თუმცა საბაზო სავალდებულო კურსებში არ არის წარმოდგენილი ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: ოპერაციული მენეჯმენტი, ლოჯისტიკა, კადრების მართვა, მართვის საინფორმაციო სისტემები. ჩამოთვლილი სასწავლო კურსები გვხვდება კონცენტრაციებში, რომელთა მიზანიც სპეციალიზებული დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი კურსები წარმოდგენილია მენეჯმენტის კონცენტრაციაში, ათვისება შეუძლებელია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სხვა კონცენტრაციას ირჩევენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიცვალოს ბიზნესის

ადმინისტრირების ძირითადი სპეციალობის განმსაზღვრელ სასწავლო კურსების ჩამონათვალი და კრედიტების მოცულობა 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად, ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 120 კრედიტისა და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიცვალოს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სპეციალობის განმსაზღვრელ სასწავლო კურსების ჩამონათვალი და კრედიტების მოცულობა 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად, ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 120 კრედიტისა და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირების სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე.

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა დასაქმების ბაზრის კვლევა, ბიზნესის მართვის ფაკულტეტის პროგრამების კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო დასაქმების ბაზრის

მოთხოვნების დადგენა. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე ბიზნეს-პროცესების ადეკვატურ, კონცენტრაციების არჩევით სასწავლო კურსებს, რომელთა საფუძველზეც სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური კომპეტენციების პროფილის ფორმირება და საკუთარი შესაძლებლობების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამასთან, დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ, კურსდამთავრებულების დასაქმებისას ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებში არის Excel-ის პროგრამის გამოყენების უნარი, კომუნიკაციის უნარი და უცხო ენები, თუმცა, კურსდამთავრებულებს უჭირთ საკუთარი ბიზნესის დაწყება, ურთულდებათ გაყიდვების, სერვისების განხორციელება, წერითი კომუნიკაცია. მათი ინფორმაციით, სამუშაოზე ასაყვანად არ არის საკმარისი 6 თვიანი გადამზადება, ზოგჯერ სახეზეა ტეორიული ცოდნის დეფიციტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; ○ პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება; ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება; ○ კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს ის სასწავლო კომპონენტები, თემები და სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული, სტრესული სიტუაციების მართვის, დროის მენეჯმენტის, წერითი კომუნიკაციების უნარების გამომუშავებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები,

კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და მეტწილად ხორციელდება, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას. ასევე, მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობისას. გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით და მეტწილად უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, თუმცა ნაკლებად იკვეთება მათი ინტერესების გათვალისწინება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; ○ პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება; ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება; ○ კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ დაინტერესებული მხარეების ინტერესების/რჩევების მაქსიმალურად გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და პროგრამის მუდმივი გაუმჯობესება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. “ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენაში და მათემატიკაში/ისტორიაში/გეოგრაფიაში/სამოქალაქო განათლებაში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, უფრო მეტი აქცენტი (მაგალითად, გამოცხადდეს უფრო მეტი რაოდენობა) გაკეთდეს მათემატიკაზე. პროგრამის წინაპირობების კიდევ უფრო მეტად გამჭვირვალობისა და საჯაროობისათვის: 1. სასურველია, საბაკალავრო პროგრამას წინაპირობების ჩამონათვალში დაემატოს შიდა ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობა, რაც დადასტურებული იქნა ინტერვიუს დროს; 2. ვინაიდან უნივერსიტეტის აბიტურიენტის ვებ-გვერდზე (https://abiturienti.ibsu.edu.ge/conditions/) განთავებულია სწავლის გადასახადთან დაკავშირებული მრავალფეროვანი (20-მდე) სტუდენტის სწავლის გადასახადი თანხის შეღავათის შესახებ ინფორმაცია, რაც უდაოდ მისასალმებელია, სასურველი იქნებოდა უფრო აღქმადი იყოს (მკაფიოდ იყოს შეზღუდვაზე მინიშნება) ვებ-გვერდის ბოლოს შეღავათების შეზღუდვის განმარტება: "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოპოვებული გრანტით ან დაფინანსებით 4 აკადემიური წლის განმავლობაში ისარგებლებ იმ შემთხვევაში, თუ შენი საშუალო აკადემიური მაჩვენებელი ყოველი წლის ბოლოს არ იქნება 80 (GPA)

ქულაზე ნაკლები, ხოლო თუ შენ ხარ ერთიანი ეროვნული გამოცდების რეიტინგით პირველ 100-ეულში და 200-ეულში მოხვედრილ სტუდენტებს შორის და იღებ IBSU-ს ყოველთვიურ სტიპენდიას, მის შესანარჩუნებლად შენი საშუალო აკადემიური მაჩვენებელი (GPA) ყოველი წლის ბოლოს არ უნდა იყოს 91 ქულაზე ნაკლები)".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია,საბაკალავრო პროგრამაზე მიღებისას უფრო მეტი აქცენტი (მაგ., გამოცხადდეს მეტი რაოდენობა) გაკეთდეს მათემატიკაზე.
- პროგრამის წინაპირობების კიდევ უფრო მეტად გამჭვირვალობისა და საჯაროობისათვის საბაკალავრო პროგრამის წინაპირობების ჩამონათვალს დაემატოს შიდა ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობა და IBSU-ს ვებ-გვერდზე მრავალფეროვანი სასწავლო საშეღავათო პირობების გვერდის ბოლოს მიეთითოს შეღავათების შეზღუდვები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის სწავლება ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დაძლევის შედეგად უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომ-პეტენციების მიღწევას, სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა,

პრაქტიკული/ლაბორატორიული, სემინარი, დამოუკიდებელი. აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით: პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (case study), გონებრივი იერიში (brain storming), დისკუსია/დებატები, სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის/სტუდენტების მიერ), ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, წიგნზე მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, პრეზენტაციის მომზადება, პროექტის მომზადება, საშინაო დავალების შესრულება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსში ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები“ 27 საათი აქვს დათმობილი ლექციას, ხოლო 16 საათი პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობას. მიგვაჩნია, რომ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა ლექციების შემცირების ხარჯზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.
რეკომენდაციები: ○ გაიზარდოს სასწავლო კურსში ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე

დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ნაწილობრივ ლოგიკური და თანმიმდევრულია. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები წარმოდგენილია სემესტრული გადანაწილების პრინციპით, ლოგიკურად, მარტივიდან რთულისაკენ. თუმცა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისათვის არ არის მოცემული სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, რაც, როგორ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, ნაგულისხმებია სემესტრული განაწილების პრონციპში და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ მთელ რიგ სასწავლო კურსებს არ აქვთ წინაპირობები განსაზღვრული (რაც გაუადვილებს სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას). ესენია: „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „მენეჯერული აღრიცხვა I“, „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“, „ფინანსური ინსტიტუტები“, მეწარმეობა, „ორგანიზაციული ქცევა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „მცირე და საშუალო საწარმოების მართვა“, “მომსახურების მარკეტინგი“, „გაყიდვების მართვა“, „რისკების მართვის საფუძვლები“, ლოჯისტიკა, „ევროინტეგრაცია და ფინანსური ბაზრის რეფორმები“, „ბიზნეს-კონტრაქტების შედგენა“; დასაზუსტებელია წინაპირობები სასწავლო კურსებში: „ინვესტიციების და პორტფელის მართვა“ (წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ ბიზნეს სტატისტიკა), „ორისი (საბუღალტრო პროგრამის გამოყენება)“(წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები); პრაქტიკის წინაპირობად (განსაზღვრულია მხოლოდ შესაბამისი კონცენტრაციის სავალდებულო 42 კრედიტიდან სულ მცირე 32 კრედიტი). რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის; „ბიზნეს ინგლისურის“ სწავლება მოცემულია მეორე სემესტრში, თუმცა ზოგადი ინგლისურის სასწავლო კურსი გრძელდება მესამე სემესტრის ჩათვლით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.
რეკომენდაციები: ○ განისაზღვროს და სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში აისახოს შემდეგი სასწავლო კურსების წინაპირობები: „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „მენეჯერული აღრიცხვა I“, „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“, „ფინანსური ინსტიტუტები“, მეწარმეობა, „ორგანიზაციული ქცევა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „მცირე და საშუალო საწარმოების მართვა“, „მომსახურების მარკეტინგი“, „გაყიდვების მართვა“, „რისკების მართვის საფუძვლები“, „ლოჯისტიკა, ევროინტეგრაცია და ფინანსური ბაზრის რეფორმები“, „ბიზნეს-კონტრაქტების შედგენა“;

- დაკონკრეტდეს პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის;
- დასაზუსტებელია წინაპირობები სასწავლო კურსებში: „ინვესტიციების და პორტფელის მართვა“ (წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ ბიზნეს სტატისტიკა), „ორისი (საბუღალტრო პროგრამის გამოყენება)“ (წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები).
- „ბიზნეს ინგლისურის“ სწავლება ნაცვლად მეორე სემესტრისა განხორციელდეს მეოთხე სემესტრიდან, ვინაიდან ზოგადი ინგლისურის სასწავლო კურსი გრძელდება მესამე სემესტრის ჩათვლით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებით.

პროგრამაში გამოყოფილია სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს ცოდნის შეფასების მოთხოვნებს, პროცედურას და სტუდენტის ცოდნის შეფასებას. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. ამასთან, თითოეულ სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი შეფასების ინსტრუმენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესები მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე, შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორები, უნივერსიტეტში აპრობირებული წესის მიხედვით, სტუდენტებთან ერთად განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, ეხმარებიან მათ შედეგების გაუმჯობესებაში და უტარებენ კონსულტაციებს, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კონსულტაციების ცხრილში იქნება გათვალისწინებული. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კომპონენტების პროგრამებში (სილაბუსებში), რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა არის უნივერსიტეტის მიერ ახლად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისად მას ამჟამად არ ჰყავს მოქმედი სტუდენტები. ფაკულტეტზე უკვე მოქმედი პროგრამის (მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა) სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ თავიანთი პროფილის განსაზღვის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. უნიერსიტეტში არსებობს პროგრამის ადმინისტრატორი, რომელიც სტუდენტებს ეხმარება სასწავლო კურსების ინტერესის სფეროს მიხედვით არჩევაში. სტუდენტებმა

აღნიშნეს, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისაგან იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას. ისინი ინფორმირებული არიან უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობებისა და მოქმედი ფინანსური წახალისების მექანიზმების შესახებ. სტუდენტები ადასტურებენ, რომ ინფორმაციას სტაჟირებების, გაცვლითი პროგრამების შესახებ აქტიურად იღებენ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალოვრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ მენეჯმენტის პროგრამის სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ მენეჯმენტის პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ○ სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები კვირაში ორი საათი, ამასთან, უკვე მოქმედი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ დამატებით საკონსულტაციო საათებზე შეუთანხმდნენ ლექტორებს. საკონსულტაციო საათებს ლექტორი სუდენტებს სწავლის დაწყებიდან პირველივე კვირაში აცნობს, განრიგი გამოკრულია აუდიტორიებთან და ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალოვრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებათან; ○ სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;

○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. მართალია აღნიშნული კომპონენტი არის არჩევითი, მაგრამ უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერის სამსახური, რომელიც მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სტაჟირებებისა და ვაკანსიების შესახებ. უკვე მოქმედი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ისინი ქეისების მეშვეობით ეცნობიან რეალურ სიტუაციებს, რაც მათ საშუალებას აძლევს განივითარონ პრაქტიკული და კვლევითი უნარები. უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტს დამსაქმებლებთან ერთად. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს კომპანიებისათვის მარკეტინგული კამპანიების შემუშავებას. ერთ-ერთმა დამსაქმებელმა, ასევე, აღნიშნა, რომ ის სამ წარჩინებულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაიაროს სტაჟირება, მათთვის საინტერესო განყოფილებაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს მუდმივი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების შესახებ უკუკავშირის მისაღებად. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევებისა და ინოვაციების ჰაბი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინოვაციური და პროფესიული უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალოვრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალოვრო პროგრამა; ○ ინტერვიუ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებათან;

- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით 2017-2018 წელს გაცვლითი პროგრამით ისარგებლა 31-მა ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტმა. სტუდენტებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ისინი საუნივერსიტეტო მეილის მეშვეობით აქტიურად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების შესახებ. მოქმედი პროგრამის (მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა) ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო პროექტში მონაწილეობა მას უნივერსიტეტმა დაუფინანსა. ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობის მაღალ დონეზე მიუთითებს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობა, უცხოენოვანი ლიტრატურის გამოყენება, საერთაშორისო სასწავლო და კვლევით პროექტებში მონაწილეობა, უცხო ენების სწავლების კომპონენტი, რის შესახებაც აღინიშნა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალოვრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტრვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებათან;
- ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანალიზი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას (შზსუ არის შემდეგი ელექტრონული ბიბლიოთეკების დარეგისტრებული წევრი: https://www.jstor.org/, http://polpred.com/, https://clarivate.com/, www.opendoar.org, www.roar.eprints.org, www.doaj.org, www.beallslist.weebly.com, www.gutenberg.org, www.memory.loc.gov, www.wdl.org, www.obiblio.sourceforge.net) აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს–ცენტრებს, ლაბორატორიებს, ინტერნეტის წვდომის საშუალებებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში შექმნილია სწავლისა და კვლევისათვის შესაფერისი და უსაფრთხო გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით. უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის კეთილმოწყობა, საგანგებო მდგომარეობის

შემთხვევაში კი – სახანძრო უსაფრთხოება და საევაკუაციო პირობები. გამართულად ფუნქციონირებს გათბობის, კონდიცირების, განათების სისტემები და სველი წერტილები. ექსპერტებმა დაათვალიერეს სტუდენტთა სწავლების პროცესის ფუნქციონირებისთვის საჭირო ორი ელექტრონული სისტემა: SIS (სტუდენტის პირადი ანგარიში, სტუდენტების შეფასება და სხვ.) და Smart (რომელ სასწავლო კურსზე არის დარეგისტრირებული სტუდენტი ან ლექტორი და სხვ.). სასურველია დაიგეგმოს ამ ორი ელექტრონული სისტემის გაერთიანება, რაც შექმნის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულ გარემოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე; ○ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, დაიგეგმოს ორი ელექტრონული სისტემის: SIS (სტუდენტის პირადი ანგარიში, სტუდენტების შეფასება და სხვ.) და Smart (რომელ სასწავლო კურსზე არის დარეგისტრირებული სტუდენტი ან ლექტორი და სხვ.) გაერთიანება, რაც შექმნის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულ გარემოს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. „ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 5 პროფესორი (მათ შორის 4 აფილირებული), 11 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 7 აფილირებული), 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და 38 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში

ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას და პროფესიულ უნარებს. პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია არის ადმინისტრაციული თანამდებობა და შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ წარდგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ძირითად პროგრამაში წარმოდგენილია 131 სასწავლო კურსი, რომელთა რაოდენობიდან, სპეციფიკიდან და პროგრამის მგდრადობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ძირითადი აკადემიური აფილირებული პერსონალის მოზიდვა ფაკულტეტზე. დაწესებულება ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვიშეგარდის და ერაზმუს +-ის საეთაშორისო პროექტები, სადაც ჩართულია აკადემიური პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ძირითადი აკადემიური აფილირებული პერსონალის მოზიდვა ფაკულტეტზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის პერსონალი (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სერვისი და სხვ.) უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას საბაკალავრო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რიგ შემთხვევებში საჭირო გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგალითად, სასწავლო კურსებში "საერთაშორისო ფინანსები" - 2007წ., "მენეჯერული ფინანსები" - 2010, "ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ - 2004 და სხვ.) ასევე სასურველია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ლექტორებს იმ სილაბუსების სასწავლო კურსების „სალექციო კურსის“ გამოშვებაში, რომელთა ძირითად ლიტერატურაში მოცემულია „ლექტორის კონსპექტი“, რომელიც შერჩევითი გადამოწმებისას „ლექტორის კონსპექტი“ ინახებოდა ბიბლიოთეკაშიც.

ასევე რიგ სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა სასურველია შემცირდეს (მაგალითად, სასწავლო კურსში „საერთაშორისო ფინანსები“ - 10 დასახელება, ,,ბიზნესის სამართლებრივი გარემო“ - 16 დასახელება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.ibsu.edu.ge

რეკომენდაციები:

- განახლებას მოითხოვს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში "საერთაშორისო ფინანსები" - 2007, "მენეჯერული ფინანსები" - 2010, "ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ - 2004 და სხვ.).
- შემცირდეს სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ფინანსები“ და ,,ბიზნესის სამართლებრივი გარემო“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ლექტორებს იმ სასწავლო კურსების „სალექციო კურსის“ შემუშავებაში, რომელთა ძირითად ლიტერატურაში მოცემულია „ლექტორის კონსპექტი“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რაც ასახულია უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის 2018 წლის სავარაუდო ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის 2018 წლის სავარაუდო ბიუჯეტი და პრორგამის ბიუჯეტის პროექტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის სამსახურის დებულება; ○ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა შეფასების მექანიზმებად გამოყენებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ცხრილი, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით და მეტწილად უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, თუმცა ნაკლებად იკვეთება მათი ინტერესების გათვალისწინება. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ხორციელდება ბაზრის კვლევა იმის შესაფასებლად, თუ რა უნარ-ჩვევები სჭირდება თითოეული მიმართულების სტუდენტს და რამდენად აკმაყოფილებენ უნივერსიტეტის კურსდამთვარებულები ამ მოთხოვნებს. გარე შეფასების კუთხით ხარისხის სამსახურის მენეჯერმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მიმოწერა ჰქონდა პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის სამსახურის დებულება; ○ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან; ○ ინტერვიურება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ○ დაინტერესებული მხარეების ინტერესების/რჩევების მაქსიმალურად გათვალისწინება საგანმანათლებლო პრგრამების შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და პროგრამის მუდმივი გაუმჯობესება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

რუსუდან სეთურიძე

ანა გვრიტიშვილი